



საქართველოს ახალგაზრდა
ეკონომისტთა ასოციაცია

**სკოლის მოსწავლეების სამეწარმეო საქმიანობასთან
დაკავშირებული ცოდნის და დამოკიდებულებების კვლევა**

მეწარმეობრივი განათლების პილოტირება საქართველოს საჯარო სკოლებში

კვლევა განხორციელდა პროექტ "სამეწარმეო განათლების პილოტირება საქართველოს საჯარო სკოლების" ფარგლებში, რომელსაც ანხორციელებს საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია საქართველოში აშშ-ს საელჩოს დემოკრატიის განვითარების მცირე საგრანტო პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით.



Funded through Democracy Commission Small Grants Program, the U.S. Embassy in Georgia დაფინანსებულია საქართველოში აშშ-ს საელჩოს დემოკრატიის განვითარების მცირე საგრანტო პროგრამის მიერ

This project is funded by the U.S. Embassy Tbilisi. The contents of this publication are those of the Author(s) and do not necessarily represent the views of the Department of State.

პროექტი დაფინანსებულია აშშ-ს საელჩოს მიერ. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის თვალსაზრისს.

სარჩევი

კვლევის მიზანი და დიზაინი.....	4
ძირითადი მიგნებები.....	6
1. მეწარმე და სამეწარმეო საქმიანობის დაწყების სურვილი	8
2. ბიზნესის წარმოების მაგალითი.....	12
3. პოტენციური დამხმარე/პარტნიორი.....	13
4. მიზეზები, რის გამოც შეიძლება მოსწავლეს უნდოდეს ან არ უნდოდეს მეწარმეობა და ბიზნესის დაწყება	14
5. ხელსაყრელი გარემო და მხარდაჭერის ტიპი	18
6. თვითშეფასება და შეხედულებები საზოგადოებრივი კეთილდღეობის შექმნის შესახებ	20
7. ბიზნესის დაწყების მიზეზები, ბიზნეს იდეა.....	23
დანართი 1 - შერჩევის დიზაინი	27

კვლევის მიზანი და დიზაინი

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს საჯარო სკოლებში მოსწავლეების სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული ცოდნისა და დამოკიდებულებების შესწავლა. აღიარებულია, რომ განათლებას უკვე სკოლის ეტაპიდან შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი სამეწარმეო კულტურის ჩამოყალიბებაში. სამეწარმეო უნარჩვევების განვითარება დადებითად აისახება საზოგადოებაზე, რაც ახალი წარმატებული ბიზნესორგანიზაციების შექმნას განაპირობებს.

სკოლის მოსწავლეები ხვალ აქტიური მოქალაქეები გახდებიან, ზოგიერთი მათგანი კი - მეწარმე. მოსწავლეებმა შეიძლება საკუთარ სამომავლო საქმიანობაზე მუშაობა და ფიქრი უკვე სასკოლო ასაკიდან დაიწყონ და დაეუფლონ სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებულ ცოდნას და უნარჩვევებს, რაც მათ საშუალებას მისცემს მომავალში დაიწყონ საკუთარი კერძო ბიზნესი ან მიღებული ცოდნა გამოიყენონ სხვადასხვა პროფესიებში.

კვლევის შედეგები გამოყენებულ იქნება თვისობრივად ახალი სამეწარმეო კურსის პილოტაჟისათვის. კურსი ჩატარდება თბილისის, ქუთაისისა და გორის საჯარო სკოლის მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეებს.

ძირითადი საკვლევი საკითხები:

1. სამეწარმეო საქმიანობის დაწყების სურვილის შესწავლა;
2. მოსწავლეების აზრის შეფასება მეწარმის და სამეწარმეო საქმიანობასთან მიმართებაში;
3. სამეწარმეო საქმიანობის დასაწყებად ძირითადი დაბრკოლებების შესწავლა და ძირითადი მხარდამჭერების გამოვლენა;
4. არსებული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება სამეწარმეო საქმიანობის დაწყების ხელშეწყობის მიმართულებით;
5. სამეწარმეო საქმიანობის დაწყების მიზეზების გამოვლენა და სასურველი სფეროების დადგენა.

მიზნის მისაღწევად და კვლევის ამოცანების გადასაწყვეტად კვლევითი ჯგუფის მიერ არჩეულ იქნა კვლევის რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდები (პირისპირ ინტერვიუ, ფოკუს ჯგუფები, ჩადრმავებული ინტერვიუები). რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულ იქნა სტრუქტურირებული ანკეტა. რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევები ჩატარდა ქ. თბილისში.

მეწარმეობრივი განათლების პილოტირება საქართველოს საჯარო სკოლებში

რაოდენობრივი კვლევა

შერჩევის მოცულობა	-500 ინტერვიუ
შერჩეული სკოლების რაოდენობა	-25 საჯარო სკოლა
შერჩეულ სკოლებში ჩატარებული ინტერვიუების რაოდენობა	-20 ინტერვიუ
სამიზნე კლასები	-9-ე, 10-ე, 11-ე და 12-ე
თითოეულ კლასში ჩასატარებელი ინტერვიუების რაოდენობა	-5 ინტერვიუ
რესპონდენტების შერჩევის პრინციპი	-შემთხვევითი

შენიშვნა: 47-ე, 94-ე, 159-ე, 163-ე და 195-ე საჯარო სკოლებში ვერ მოხერხდა 12-ე კლასების მოსწავლეების გამოკითხვა. მიზეზი-საჯარო სკოლების დირექტორების უარი მოსწავლეების საატესტატო გამოცდებისთვის მზადება.

შენიშვნა: შერჩევის დიზაინი მოცემულია დანართ 1-ში.

საველე სამუშაოების მიმდინარეობის ვადები	- 5 დღე
საველე სამუშაოებზე დასაქმებული ინტერვიუერების რაოდენობა	- 5 ინტერვიუერი
ჩატარებული ინტერვიუების რაოდენობები ინტერვიუერების მიხედვით:	
ინტერვიუების მიმდინარეობის ხანგრძლივობა, წუთი:	

ცხრილი 1 ინტერვიუს მიმდინარეობის ხანგრძლივობა წუთებში

მინიმუმი	მაქსიმუმი	საშუალო
00:10	00:15	00:10

ტექნიკური ხასიათის პრობლემები, რომელიც შეინიშნებოდა საველე სამუშაოების მიმდინარეობის დროს:

საველე სამუშაოების მიმდინარეობის დროს ინტერვიუერებს პრობლემები არ შექმნიათ, იქიდან გამომდინარე, რომ შერჩეული საჯარო სკოლის დირექტორები ინფორმირებულები იყვნენ როგორც პროექტის შესახებ, ასევე რაოდენობრივი კვლევის ჩატარების შესახებ მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 კლასში. ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც კვლევის მიმდინარეობის პროცესში 131-ე საჯარო სკოლის დირექტორმა უარი განაცხადა პროექტში მონაწილეობის მიღებაზე.

თვისობრივი კვლევა

ფოკუს ჯგუფები - სულ ჩატარდა 2 ფოკუს ჯგუფის შეხვედრა თბილისში. თითოეულ ფოკუს ჯგუფში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა საჯარო სკოლები სხვადასხვა კლასის მოსწავლეებმა. მონაწილეები ასევე თანაბრად იყვნენ წარმოდგენილნი გენდერულ ჭრილში. ფოკუს ჯგუფის შეხვედრები ჩატარდა სპეციალური გზამკვლევის მიხედვით. სულ ფოკუს ჯგუფის შეხვედრებს დაესწრო 21 მონაწილე.

ჩაღრმავებული ინტერვიუები - სულ ჩატარდა 20 ჩაღრმავებული ინტერვიუ სხვადასხვა სკოლის სხვადასხვა კლასის მოსწავლეებთან სპეციალური კითხვარის საშუალებით. ჩაღრმავებული ინტერვიუს მონაწილეები შეირჩნენ რაოდენობრივი კვლევის რესპოდენტებისგან ინტერვიუების რეკომენდაციის საფუძველზე.

ძირითადი მიგნებები

- მოსწავლეების უმეტესობას (58%) გააჩნია საკუთარი საქმიანობის დაწყების ზოგადი სურვილი ძირითადად საკუთარი იდეების განსახორციელებლად;
- სამწერამეო საქმიანობისთვის ყველაზე დიდ დაბრკოლებად სახელდება მეწარმეობის არასაკმარისი ცოდნა, გამოცდილება და უნარები (47,2%);
- რესპოდენტების აზრით სამეწარმეო საქმიანობის დასაწყებად მათ პირველ რიგში სწავლება/ტრენინგი სჭირდებათ. მხოლოდ 49%-მდე თვლის რომ არსებული განათლება აძლევს მათ ცოდნას საკუთარი სამეწარმეო საქმიანობის დასაწყებად, უქმნის დაინტერესებას ამ მიმართულებით და ეხმარება ბიზნესის როლის გაგებაში;
- მოსწავლეების აზრით სკოლის პერიოდში ძირითადად შესაძლებელია მცირე ბიზნესის დაწყება და ამისთვის შესაბამისი განათლების მიღების საჭიროებას ხედავენ;
- მოსწავლეების აზრით სკოლამ/განათლების სამინისტრომ უნდა ჩაატაროს სპეციალური მოსწავლეზე მორგებული კურსები და პრაქტიკულად დაანახონ თუ როგორ მუშაობს ბიზნესი.

ასევე:

- მოსწავლეების დიდ ნაწილს, საკუთარი თვითშეფასებით, ესმით სამეწარმეო საქმიანობის არსი და მეწარმის როლი და უმეტესობას (58%) გააჩნია საკუთარი საქმიანობის დაწყების ზოგადი სურვილი. სამეწარმეო საქმიანობის დაწყების და არ დაწყების მსრუველები თითქმის არ განსხვავდებიან გენდერულ ჭრილში;
- ასაკის, კლასების ზრდასთან ერთად პირდაპირპროპორციულად მატულობს საკუთარი სამეწარმეო საქმიანობის დაწყების სურვილი;
- იმ მოსწავლეებს, რომლებსაც არ სურთ საკუთარი სამეწარმეო საქმიანობის დაწყება (მხოლოდ 13,8%) ძირითადად მიზეზად (50,8%) ასახელებს უბრალოდ სურვილის არ ქონას და მცირე ნაწილი (18,5%) რისკებთან დაკავშირებულ შიშს; შესაბამისად,

მეწარმეობრივი განათლების პილოტირება საქართველოს საჯარო სკოლებში

მოსწავლეებში სამეწარმეო საქმიანობის არ დაწყების სურვილი არის დაკავშირებული რაიმე განსაკუთრებულ ფაქტორთან;

- ძირითადი მიზეზები რის გამოც შეიძლება მოსწავლეები არ გახდნენ მეწარმეები არის: ფინანსური რისკები (68,1%), არაჯანსაღი ბიზნესგარემო (49,9%), კონკურენცია (28,9%) და შესაბამისი უნარჩვევების/ცოდნის არ ქონა (27,1%). სავარაუდოდ შესაბამისი პირობების შექმნის შემთხვევაში (მაგ. სპეციალური განათლება) მოსწავლეებს ნაკლებად ექნებათ სამეწარმეო საქმიანობის არ დაწყების სურვილი;
- რესპონდენტების $\frac{3}{4}$ იცნობს ადამიანს, რომელიც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას და ეს ადამიანი საკმაოდ ახლოსაა რესპონდენტთან (შშობელი, ნათესავი, ოჯახის ახლობელი და ა.შ.). შესაბამისად შესაძლებელია მენტორების სახით მათი ნაცნობების გამოყენება;
- გამოკითხული მოსწავლეების უმეტესობა სამეწარმეო საქმიანობის დაწყებასთან/განვითარებასთან დაკავშირებით რჩევით მიმართავდა ძირითადად ოჯახის წევრს, ან სხვა ადამიანს ვინც დაიწყო საკუთარი ბიზნესი ანდა საკონსულტაციო კომპანიას;
- რესპონდენტების უმეტესობას (53%-ს) საკუთარი საქმიანობის დაწყება სურთ საკუთარი იდეების განსახორციელებლად. მათ 30,4%-ს ყოველთვის სურდა საკუთარი ბიზნესის შექმნა. ფინანსური დამოუკიდებლობა და პოტენციურად უფრო მეტი ფინანსური რესურსების შოვნა ბიზნესის დაწყების ძირითადი მამოტივირებელ მიზეზებად დასახელდა;
- სამეწარმეო საქმიანობისთვის ყველაზე დიდ დაბრკოლებად სახელდება არასაკმარისი ფინანსები საქმის დასაწყებად/განსავითარებლად (66,4%) და მეწარმეობის არასაკმარისი ცოდნა, გამოცდილება და უნარები (47,2%). შესაბამისად, მნიშვნელოვანია მათი ინსტრუქტირება თუ როგორ მიიპოვონ დაფინანსება და საბაზისო ცოდნითა და უნარჩვევებით აღჭურვა;
- გამოკითხული რესპონდენტების თითქმის 80% ფიქრობს, რომ საქართველოში ბიზნესის დასაწყებად მეტნაკლებად ხელსაყრელი გარემოა. თუმცა ვერ ასახელებენ ხელსაყრელი გარემოს ფაქტორებს. შესაბამისად, ნათელია რომ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია საშუალო სკოლებში მოხდეს ეკონომიკური და სამეწარმეო საკითხების სწავლება, რათა მოსწავლეებს (მიუხედავად იმისა აპირებენ თუ არა საკუთარი სამეწარმეო საქმიანობის დაწყებას) ჰქონდეთ წარმოდგენა ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ;
- რესპონდენტების აზრით სამეწარმეო საქმიანობის დასაწყებად მათ პირველ რიგში სწავლება/ტრენინგი სჭირდებათ, ხოლო შემდეგ ფინანსებზე ხელმისაწვდომობა და კონსულტაციები. ამასთან, მოსწავლეების უმეტესობის (69,8%-ის) აზრით, ზოგადი განათლება ეხმარება მათ ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად. მაგრამ მხოლოდ 49%-მდე თვლის რომ არსებული განათლება აძლევს მათ ცოდნას საკუთარი სამეწარმეო საქმიანობის დასაწყებად, უქმნის დაინტერესებას ამ მიმართულებით და ეხმარება ბიზნესის როლის გაგებაში;

- მოსწავლეების უმეტესობას (67,4%-ს) მიაჩნია, რომ თუ ბევრს იმუშავებენ, შეძლებენ საკუთარი ბიზნესის განვითარებას, მხოლოდ მცირე ნაწილს ურჩევნია სტაბილურ სამსახურში მუშაობა;
- ამასთან, მოსწავლეების უმეტესობას კარგად არ აქვთ გააზრებული საკუთარი საქმიანობის დაწყების მნიშვნელობა. მაგ. გამდიდრების მიზეზს მხოლოდ 35% ასახელებს. თუმცა, შესაძლოა დავასკვნათ რომ ამ ასაკში მეწარმეობა უფრო მეტად იდეებთან და თვითრეალიზაციის სხვა საჭიროებებთანაა დაკავშირებული.
- გამოკითხულთა 45,2% პასუხობს, რომ აქვთ ბიზნესიდეა, და მათგან 78,3% სურს მომავალში ბიზნესის დაწყება. შეგვიძლია ვივარაუდოთ: რადგან რესპონდენტებში ბიზნესის დაწყების სურვილი მაღალია, ბიზნესის დაწყების ალბათობა ბიზნესიდეის არსებობის შემთხვევაში საკმაოდ მაღალია და დღის წესრიგში დგება რესპონდენტების მიერ დასახელებული ხელისშემშლელი ფაქტორების აღმოფხვრა და მხარდამჭერი ღონისძიებების გატარება (მაგ. სპეციალური სამეწარმეო სასწავლო კურსების არსებობა საჯარო სკოლებში);
- აღსანიშნავია, რომ რესპონდენტების დიდი ნაწილის (42%-ის) აზრით მათი ბიზნესიდეის განხორციელებას მხოლოდ 20,000 ლარამდე ინვესტიცია სჭირდება. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მათი იდეები ძირითადად მცირე ზომის საქმიანობას ეხება, ან/და ვერ ახდენენ საჭირო საინვესტიციო ხარჯების ადექვატურ კალკულაციას. ნებისმიერ შემთხვევაში, ეფექტიანი იქნება სკოლის პერიოდშივე ბიუჯეტის მომზადების და ხარჯების დათვლის უნარების ჩამოყალიბება და განვითარება;
- აღსანიშნავია, რომ რესპონდენტების უმეტესობას საკუთარი საქმიანობის დაწყება ვაჭრობის (24,8%), კვების (23%) და ტურიზმის (17,3%) სექტორებში სურს.

1. მეწარმე და სამეწარმეო საქმიანობის დაწყების სურვილი

ფოკუს ჯგუფის და ჩადრმავეებული ინტერვიუების მონაწილე მოსწავლეებისთვის "სამეწარმეო საქმიანობა" ვაჭრობასთან, წარმოებასთან და მოგების მიღებასთან ასოცირდება. მათი აზრით, მეწარმე არის ამბიციური, მიზანდასახული, ფულის შოვნაზე და მიზნის მიღწევაზე ორიენტირებული ადამიანი. მოსწავლეების აზრით მეწარმეებს არ მოსწონთ, როდესაც სხვაზე არიან დამოკიდებულნი (იერარქიის მხრივ). მოსწავლეები ასახელებენ მეწარმეობაში წარმატების მიღწევისათვის აუცილებელ ძირითად პირობებს: ბიზნესის დაგეგმვა, კარგი იდეის ქონა, დიდი მონდომება და შრომა. "მეწარმეებს სჭირდებათ იდეა, მონდომება. როცა იდეა გაქვს იპოვნი ვინმეს ვინც შეიძლება დაგაფინანსოს..." აცხადებს ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილე.


კითხვაზე "თქვენი აზრით შესაძლებელია, რომ ყველა ადამიანი გახდეს მეწარმე?" ფოკუს ჯგუფის მონაწილეები პასუხობენ: "დიახ. დაიწყოს პატარა ბიზნესით და მერე განავითაროს და გაზარდოს წარმოება. მაგრამ ჩავარდნას უნდა ელოდებოდეს და ზარალიც უნდა ქონდეს გათვლილი", "გარკვეული თვისებები არის საჭირო რომ გახდე მეწარმე. მარტო თვისებებზეც

არაა, სურვილზეც არის, ყველა ადამიანს ხომ არ უნდა ბიზნესმენობა”, ”არა. იმიტომ რომ ყველა ადამიანი ვერ გახდება მხატვარი, ყველა ადამიანი ვერ გახდება მუსიკოსი. თუმცა ჩემი აზრით ყველა ადამიანს აქვს ნიჭი და შეიძლება ეს ნიჭი განავითარო”.

ასევე ჩაღრმავებული ინტერვიუს მონაწილეები ავლენენ გარკვეულ ცოდნას მეწარმეობასთან და მეწარმესთან დაკავშირებით: ”მომხმარებელს უნდა იცნობდეს და იცოდეს რა სჭირდება მომხმარებელს”, ”პასუხისმგებლიანი, დაკვირვებული, მებრძოლი უნდა იყოს მეწარმე და ყველაფერი რომ გამოუვიდეს მოსალოდნელ რისკებსა და საფრთხეს არ უნდა შეუშინდეს”. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოსწავლეებს მეტნაკლებად კარგად ესმით თუ რასთან არის დაკავშირებული სამეწარმეო საქმიანობა და როგორი უნდა იყოს მეწარმე.

კვლევების შედეგად გამოვლინდა, რომ საკმაოდ მაღალია მოსწავლეთა ინტერესი სამეწარმეო საქმიანობის მიმართ. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში დასმულ კითხვაზე **გსურთ თუ არა რომ მომავალში დაიწყოთ საკუთარი სამეწარმეო საქმიანობა (ბიზნესი)**, რესპოდენტთა უმეტესობამ დადებითი პასუხი გასცა.

დიაგრამა 1 გსურთ თუ არა მომავალში დაიწყოთ საკუთარი სამეწარმეო საქმიანობა (ბიზნესი)?



პასუხებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, თბილისის სკოლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები უკვე ფიქრობენ მომავალ სამეწარმეო საქმიანობაზე, მიუხედავად იმისა, ექნებათ თუ არა მათ სამეწარმეო საქმიანობის დაწყების თუნდაც ფინანსური საშუალება.

შესაძლოა საკუთარი ბიზნესის წარმოება ამ შემთხვევაში ჩავთვალოთ როგორც სურვილი და არა რეალური მოლოდინი, მაგრამ თუნდაც სურვილის არსებობის ასეთი მაღალი მაჩვენებელი უკვე მიუთითებს პიროვნების მიერ ცხოვრების სტილის შერჩევაზე.


მეწარმეობრივი განათლების პილოტირება საქართველოს საჯარო სკოლებში

საინტერესოა მონაცემების განხილვა სქესობრივ ჭრილში პასუხი "დიახ მომავალში" საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებლით გვხვდება როგორც მამრობითი, ისე მდედრობითი სქესის რესპონდენტებში. მათ შორის განსხვავება მხოლოდ 6%-ია. სხვაობის ეს მაჩვენებელი არ შეიძლება განხილულ იქნას მნიშვნელოვან სხვაობად, შესაბამისად, შეიძლება ითქვას, საკუთარი სამეწარმეო საქმიანობის დაწყების სურვილი თითქმის ერთნაირად მაღალია ორივე სქესის წარმომადგენლებში.

საინტერესოა სამეწარმეო საქმიანობის დაწყების სურვილის შედეგების განხილვა გამოკითხული მოსწავლეთა კლასების ჭრილში.

სამეწარმეო საქმიანობის დაწყების სურვილი გამოკითხული მოსწავლეთა კლასების ჭრილში

დიაგრამა 2 გსურთ თუ არა მომავალში საკუთარი სამეწარმეო საქმიანობის (ბიზნესის) დაწყება?




ყურადღებას იქცევს პასუხის "არ ვიცი/არ ვარ დარწმუნებული" გრაფიკული გამოსახულება: კლასების, ანუ ასაკის მატების პირდაპირპროპორციულად კლებულობს მსგავსი პასუხების რაოდენობა, ანუ, ასაკის მატებასთან და დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყების მიახლოებასთან ერთად რესპონდენტებში მატულობს სურვილი ჰქონდეთ საკუთარი ბიზნესი.

აქვე აღსანიშნავია, რომ ფოკუს ჯგუფის და ჩალრმავებული ინტერვიუების მონაწილეები სამეწარმეო საქმიანობას მიუხედავად რისკებისა სტაბილური შემოსავლის წყაროდ განიხილავენ. ასევე ერთ-ერთი მონაწილის აზრით: "მეწარმე უნდა ცდილობდეს, რომ სხვადასხვა წარმოებაში მოსინჯოს თავი. აქტიური უნდა იყოს, იმიტომ რომ მოგება რომ ნახო და მერე თავი დაანებო და მიუშვა არ შეიძლება. რამდენი ფულიც არ უნდა იშოვოს მეწარმემ უნდა ატრიალოს ფული და ჩადოს ისევ ბიზნესში. ბიზნესი ყოველთვის უნდა ვითარდებოდეს, სიახლეები დანერგოს საკუთარ საქმიანობაში და არასდროს არ უნდა იყოს კმაყოფილი მიღწეული შედეგით. მეტი უნდა უნდოდეს ყოველთვის. მოგებას რასაც

ბიზნესმენი მიიღებს უნდა ჩადოს ისევ ბიზნესში, უნდა გაფართოვდეს”. რაც მიუთითებს მოსწავლის მხრიდან სამეწარმეო საქმიანობის არსის საკმაოდ კარგ გაგებაზე. ასევე მოსწავლეების აზრით მნიშვნელოვანია მეწარმე დამატებით რაიმე პროფესიას დაეუფლოს.

კვლევის ფარგლებში იმ რესპონდენტებისათვის, რომლებმაც საკუთარი სამეწარმეო საქმიანობის დაწყებაზე უარი განაცხადეს (გამოკითხულთა 13,2%), დასმული იყო კითხვა:

დიაგრამა 3 რატომ არ გსურთ საკუთარი სამეწარმეო საქმიანობის დაწყება?



- იმ რესპონდენტთაგან, რომლებმაც უარი განაცხადეს ბიზნესის დაწყების სურვილზე (13,2% - 65 რესპონდენტი), მხოლოდ 18,5% გამოთქვამს შიშს რისკების წინაშე.
- 65 რესპონდენტიდან ნახევარს უბრალოდ არ სურს სამეწარმეო საქმიანობის დაწყება და განვითარება. მაგალითად ერთ-ერთი ფოკუს ჯგუფის მონაწილეს აზრით: "მიუხედავად იმისა მაქვს თუ არა დაფინანსება, მე არ დავიწყებდი, რადგან ვთვლი რომ დღეს არ მაქვს შესაბამისი განათლება ბიზნესის დასაწყებად. არც გამოცდილება არ გამაჩნია ... პასუხისმგებლობას ვერ ავიღებდი საკუთარ თავზე. არაფერი არ ვიცი თუ როგორ ბიზნესის შესახებ და პირველ რიგში ამ მიმართულებით ინფორმაციას და განათლებას მივიღებდი".

წარმოდგენილი მონაცემებიდან ყველაზე დიდი რაოდენობითაა პასუხი "უბრალოდ არ მსურს", მაგრამ მსგავსი რესპონდენტების წილი გამოკითხულთა მთლიანი რაოდენობიდან შეადგენს მხოლოდ 6,6%-ს, ხოლო პასუხი "მეშინია რისკების" რესპონდენტების მთლიანი რაოდენობიდან წარმოდგენილია მხოლოდ 2,4%-ით.


მიღებული პასუხებიდან და მათი შესაბამისი პროცენტული მაჩვენებლებიდან გამომდინარე, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას:

გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობაში შეინიშნება მზაობა, თუნდაც სურვილის დონეზე, საკუთარი სამეწარმეო საქმიანობის დაწყებისათვის.

2. ბიზნესის წარმოების მაგალითი

მნიშვნელოვანია, რომ საკუთარი სამეწარმეო საქმიანობის დაწყების სურვილის შემაფერხებელ ერთ-ერთ ფაქტორად რესპოდენტები არასაკმარის ცოდნას ასახელებენ, რომელიც შესაძლებელია ნაცნობი მეწარმეებისგან მიიღონ. შესაბამისად, მოსწავლეებთან დასმული იყო კითხვა, თუ ვის იცნობდნენ ვინც საკუთარი სამეწარმეო საქმიანობა (ბიზნესი) დაიწყო?

დიაგრამა 4 ვის იცნობთ ვინც საკუთარი სამეწარმეო საქმიანობა (ბიზნესი) დაიწყო?



შენიშვნა: რესპოდენტებს ჰქონდათ რამდენიმე პასუხის გაცემის შესაძლებლობა, შესაბამისად, პასუხების რაოდენობა აღემატება 100%-ს.

- ✓ გამოკითხული რესპოდენტების თითქმის მეოთხედი არავის იცნობს ისეთს, რომელიც ეწევა საკუთარ ბიზნესს;
- ✓ რესპოდენტების ¾ იცნობს ადამიანს, რომელიც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას და ეს ადამიანი საკმაოდ ახლოსაა რესპოდენტთან (მშობელი, ნათესავი, მეგობარი ა.შ.).

ასეთი მონაცემების ფონზე საინტერესოა განხილული იქნეს ჭრილი: საკუთარის ბიზნესის დაწყების სურვილი/ბიზნესის წარმოების მაგალითზე.

ცხრილი 2 საკუთარის ბიზნესის დაწყების სურვილი/ბიზნესის წარმოების მაგალითზე

ვის იცნობთ ვინც საკუთარი სამეწარმეო საქმიანობა (ბიზნესი) დაიწყო?	გსურთ თუ არა რომ მომავალში დაიწყოთ საკუთარი სამეწარმეო საქმიანობა (ბიზნესი)? %			
	დიახ, მომავალში	უკვე მაქვს	არა	არ ვიცი/ არ ვარ დარწმუნებული
მშობელი	27	40	18	19
ოჯახის წევრი (არა მშობელი)	40		16	39
მეგობარი	27	20	12	20
მასწავლებელი	0.3			2
სხვა	6		10	9
არავის	17	40	47	26
ჯამი	100.0	100.0	100.0	100.0

რესპონდენტები, რომლებსაც სურთ მომავალში საკუთარი ბიზნესის წარმოება - მათი 83,4% უშუალოდ იცნობს ისეთ ადამიანს, (მათი უმრავლესობა ოჯახის წევრია), რომელიც ეწევა საკუთარი სამეწარმეო საქმიანობას.


ამ კატეგორიის რესპონდენტებისთვის რეალურად ხელშესახებია ბიზნესის წარმოება, აკვირდებიან და სწავლობენ ოჯახის წევრებისაგან და შესაბამისად, საკუთარი ბიზნესის წარმოების დაწყების სურვილი თანდათან ყალიბდება. მაგალითად ფოკუს ჯგუფის შეხვედრაზე მოსწავლემ გაგვიზიარა საკუთარი გამოცდილება: "მამაჩემს აქვს ავტომანქანების სამრეცხაო, რომელიც გააკეთა ისეთ ადგილას, რომ ჩემი აზრით არ გამართლებდა და არ იქნებოდა მომგებიანი. ადგილმდებარეობით არის ვაკეში, რაც არაა გამართლებული ჩემი აზრით, არ არის კარგად მისადგომი და თვალსაჩინო. მე გავაკეთებდი სხვა ადგილას. უფრო გარეუბნებში".

3. პოტენციური დამხმარე/პარტნიორი

საინტერესოა ვის მოიაზრებენ მოსწავლეები პოტენციურ დამხმარე/პარტნიორად სამეწარმეო საქმიანობაში. კითხვა:

ვის მიმართავდით თხოვნით რათა მოგეხმაროთ საკუთარი საქმიანობის დაწყებაში/განვითარებაში?

დიაგრამა 5



შენიშვნა: რესპონდენტებს ჰქონდათ რამდენიმე პასუხის გაცემის შესაძლებლობა, შესაბამისად, პასუხების რაოდენობა აღემატება 100%-ს.

- მხოლოდ 1,8% არ მიმართავდა არავის საკუთარ ბიზნესის წარმოების დაწყების შემთხვევაში დახმარებისათვის.

მეწარმეობრივი განათლების პილოტირება საქართველოს საჯარო სკოლებში

- ყველა დანარჩენი აუცილებლად მიმართავს ან კონკრეტულ სფეროში გამოცდილ ადამიანს, ოჯახის წევრს, საკონსულტაციო კომპანიას, ან დამხმარე სახელმძღვანელოებს.

შესაბამისად, გამოკითხულთა აბსოლიტურ უმრავლესობას გააზრებული აქვს ის, რომ ბიზნესის წარმოების თუნდაც საწყის ეტაპზე აუცილებელია კონსულტანტი, რათა მიიღოს განვითარების სწორი მიმართულება. ფოკუს ჯგუფის მონაწილეების აზრით: "აუცილებელია ამ სფეროში გამოცდილ ადამიანს მივმართო პირველ რიგში, იმ სფეროში სადაც მსურს ბიზნესის დაწყება", "ზოგს არ სჭირდება განათლება და სკოლაში საერთოდ სხვა რაღაცეებს ასწავლიან და ბიზნესმენს საერთოდ სხვა ცოდნა სჭირდება". ასევე მოსწავლეების აზრით მნიშვნელოვანია რჩევა იმ პირებისგან მივიღოთ ვისაც ვენდობით.


წარმოდგენილი მიგნება რესპონდენტების სურვილის "დაიწყონ საკუთარი საქმის წარმოება" რეალურობასა და სიმძაფრეზე მიუთითებს.

4. მიზეზები, რის გამოც შეიძლება მოსწავლეს უნდოდეს ან არ უნდოდეს მეწარმეობა და ბიზნესის დაწყება

4.1 მიზეზები, რის გამოც შეიძლება გახდნენ ბიზნესმენები

გამოკითხული რესპოდენტების მოსაზრებების, იმის თაობაზე, თუ რატომ შეიძლება უნდოდეთ ან არ სურდეთ საკუთარი ბიზნესის დაწყება საინტერესო იყო კვლევის მიზნებისთვის.

დიაგრამა 6 თქვენი აზრით, რა შეიძლება იყოს ძირითადი მიზეზი(ები) რომ გახდეთ მეწარმე (ბიზნესმენი)?



მეწარმეობრივი განათლების პილოტირება საქართველოს საჯარო სკოლებში

შენიშვნა: რესპონდენტებს ჰქონდათ რამდენიმე პასუხის გაცემის შესაძლებლობა, შესაბამისად, პასუხების რაოდენობა აღემატება 100%-ს.

- გამოკითხულ რესპონდენტთა 53% პასუხობს მსურს განვახორციელო საკუთარი იდეები.
- ყველა სხვა პასუხი გვხდება 30 და ნაკლები პროცენტული მაჩვენებლით.

საინტერესო იყო მიზეზების, რომ გახდნენ მეწარმეების განხილვა საკუთარი სამეწარმეო საქმიანობის დაწყების სურვილთან კვეთაში.

ცხრილი 3 გსურთ თუ არა რომ მომავალში დაიწყოთ საკუთარი სამეწარმეო საქმიანობა (ბიზნესი)?

	დიახ, მომავალში	უკვე მაქვს	არა	არ ვიცი / არ ვარ დარწმუნებული
მსურს ჩემი იდეები განვახორციელო	57.2	60.0	28.8	55.4
მე ყოველთვის მიხდება/მიხდება გავხდე მეწარმე	36.9	20.0	39.4	12.9
ვფიქრობ საკუთარი სამეწარმეო საქმიანობით უფრო მეტ ფულს ვიმოგვნი	29.3	40.0	13.6	21.6
მსურს ვიყო საკუთარი თავის უფროსი	27.6	60.0	22.7	30.2
ვფიქრობ ჩემი უნარები და ცოდნა სამეწარმეო საქმიანობისთვის არის საუკეთესო	20.7	40.0	12.1	14.4
თუ მოტივაციას სხვა წარმატებული მეწარმე შემიქმნის	13.4		15.2	18.0
თუ ამას მეგობრები/ოჯახი მირჩევს	9.7		6.1	12.2
თუ სხვა საშუალება აღარ მექნება შემოსავლის მისაღებად	5.5		18.2	14.4

იმ რესპონდენტების 57.2%, რომლებსაც სურთ გახდნენ ბიზნესმენები მომავალში, მეწარმედ გახდომის ერთ-ერთ მიზეზად ასახელებს "მსურს ჩემი იდეები განვახორციელო". ასევე ფოკუსს ჯგუფის მონაწილეების უმრავლესობის აზრით მთავარი მიზეზი არის ფინანსური დამოუკიდებლობა და უფრო მეტი შემოსავალი ვიდრე ეს სხვა საქმიანობებშია, რაც იწვევს მეტის მიღწევის მოტივაციას.


ზემოთ ვსაუბრობდით მეწარმედ გახდომის სურვილზე და გამოითქვა ვარაუდი, რომ სურვილი მძაფრი უნდა ყოფილიყო. აღნიშნულ ვარაუდს ამყარებს წარმოდგენილი ჩრილი: რესპონდენტებს, რომლებსაც სურთ მომავალში გახდნენ მეწარმეები, ამოძრავებთ საკუთარი იდეების განხორციელების სურვილი.

4.2 მიზეზები, რის გამოც შეიძლება არ გახდნენ ბიზნესმენები

კითხვა:

თქვენი აზრით, რა შეიძლება იყოს ძირითადი მიზეზი(ები) რომ არ გახდეთ მეწარმე (ბიზნესმენი)?

დიაგრამა 7



შენიშვნა: რესპონდენტებს ჰქონდათ რამდენიმე პასუხის გაცემის შესაძლებლობა, შესაბამისად, პასუხების რაოდენობა აღემატება 100%-ს.

- ფინანსური რისკები-სახელდება გამოკითხულთა 68,1%-ის მიერ;
- არაჯანსაღი ბიზნეს-გარემო სახელდება რესპონდენტების 49,4%-ის მიერ;
- კონკურენციის ემინია რესპონდენტების თითქმის მესამედს;
- რესპონდენტების იგივე რაოდენობა მიზეზად ასახელებს უნარჩვევებისა და ცოდნის ნაკლებობას.

არაჯანსაღი ბიზნესგარემო - ცალკე განხილვის თემაა გამოკითხული რესპონდენტების მოსაზრებები ბიზნესგარემოსთან მიმართებაში. მიმდინარე კვლევის მიზანთან პირდაპირ კავშირში საკვლევ თემას არ წარმოადგენდა, მაგრამ რადგან დასახელდა ბიზნესის დაწყებისგან თავის შეკავების ერთ-ერთ მიზეზად, საკმაო ალბათობით მიზეზი რეალური უნდა იყოს, ან რეალურად მიაჩნია რესპონდენტების იმ ნაწილმა, ვინც ეს მიზეზი დაასახელა.

მაღალი პროცენტული მაჩვენებლით დასახელებული ყველა სხვა მიზეზი - ფინანსური რისკები, კონკურენცია, უნარჩვევების და ცოდნის ნაკლებობა, ნებისმიერი საწყისი ბიზნესისთვის დამახასიათებელი დებრკოლებებია, შესაბამისად, რესპონდენტების შიშიც რეალურია, ანუ რესპონდენტებს გააზრებული აქვთ ბიზნესის დაწყების თანმდევი პრობლემები. დაახლოებით იგივე შედეგებია ფოკუს ჯგუფის გამოკითხვის შედეგად, მთავარ მიზეზებად სახელდება: კონკურენცია, ფინანსური რისკები და არაჯანსაღი ბიზნესგარემო.


”საავრადოდ თუ ბიზნესის დაწყების მსურველს შევუქმნით წინაპირობას, და ისწავლიან თუ როგორ უნდა გათვალისწინონ ფინანსური რისკები, თუ როგორ უნდა გაუწიონ კონკურენცია მსგავს ბიზნესს და თუ განუვითარებთ ბიზნესის წარმოების უნარჩვევებს, ახალი ბიზნესის წარმოების ალბათობა გაიზრდება.”

4.3 დაბრკოლება სამეწარმეო საქმიანობისთვის

კითხვა:

თქვენი აზრით, რა არის ყველაზე დიდი დაბრკოლება სამეწარმეო საქმიანობისთვის (ბიზნესისთვის)?

დიაგრამა 8



- ყველაზე დიდ დაბრკოლებად რესპონდენტების 66,4%-ის მიერ დასახელდა არასაკმარისი ფინანსები საქმის დასაწყებად/განსავითარებლად.

ასევე ძირითად დაბრკოლებად ფოკუსს ჯგუფის მონაწილეების მხრიდან სახელდება: პოლიტიკური გარემო, კონკურენცია, გავლენიანი ნაცნობების არყოლა და არასაკმარისი ფინანსები.

არსებობს იდეა, არის საქმის წარმოების სურვილი, არ არსებობს თუნდაც თეორიული ცოდნა ფინანსური რისკების, კონკურენციისა და ბიზნესჩვევების შესახებ და რაც მთავარია არ არსებობს საწყისი კაპიტალი. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე მინიმალური გამოსავალი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგი სახით - დაინტერესებულ პირებს, ამ შემთხვევაში კვლევის სამიზნე აუდიტორიას, ვაძლევთ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას:

1. ფინანსური რისკების;
2. კონკურენციის;
3. ბიზნესჩვევების
4. როგორ მოვიპოვოთ სამეწარმეო საქმიანობისთვის საწყისი კაპიტალი.


5. ხელსაყრელი გარემო და მხარდაჭერის ტიპი

5.1 ბიზნეს გარემოს შეფასება

კითხვა:

თქვენი აზრით, რამდენად ხელსაყრელი გარემოა საქართველოში ბიზნესის დასაწყებად?

დიაგრამა 9



- ✓ გამოკითხული რესპონდენტების თითქმის 80% ფიქრობს, რომ საქართველოში ბიზნესის დასაწყებად მეტნაკლებად ხელსაყრელი გარემოა. ფოკუს ჯგუფის მონაწილეების მხრიდან ერთ-ერთ უარყოფით ფაქტორად მაღალი გადასახადების სახელდება.

წარმოდგენილი პროცენტული მაჩვენებელი სავარაუდოდ არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ზუსტი შეფასება მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტების მნიშვნელოვან ნაწილს შეეხება აქვს გარკვეული სახის ბიზნესწარმოებასთან, მათი ახლობელი ადამიანების საშუალებით.


5.2 საჭირო მხარდაჭერის სახეები

კითხვა:

თქვენი აზრით, რა ტიპის მხარდაჭერა გესაჭიროებად სამწარმო საქმიანობის დასაწყებად?

პასუხები წარმოდგენილია პრიორიტეტულობის მიხედვით, რაც უფრო ახლოსაა შეფასება 1-თან, მით უფრო პრიორიტეტულია:

დიაგრამა 10



მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ბიზნესის დაწყების ყველაზე დამაბრკოლებელ მიზეზად საწყისი ფინანსების არარსებობა დასახელდა, წინამდებარე კითხვაზე რესპონდენტებმა პრიორიტეტულ საჭიროებად დასახელეს **სწავლება/ტრენინგები**, ხოლო პრიორიტეტულობით მეორე ადგილზე დგას ფინანსებზე ხელმისაწვდომობა. შესაბამისად მათ დასახმარებლად საჭიროა გატარდეს სპეციალური პროგრამები, რომელიც მოსწავლეებს აღჭურავს შესაბამისი ცოდნით და უნარჩვევებით. იგივე შედეგია ფოკუს ჯგუფის შეხვედრების მიხედვით: მოსწავლეების უმეტესობა სამეწარმეო განათლებას ასახელებს პრიორიტეტულად. მაგალითად ერთ-ერთი მოსწავლის აზრით: "პირველ რიგში და ცალსახად განათლების მიღება და უფრო მეტი ბიზნესის დასაწყებად საჭირო ფინანსები. აი ამ ეტაპზე ფული რომ მქონდეს, წარმოდგენა არ მაქვს, როგორ დავიწყო ბიზნესი, რა ვაკეთო, ვის მივმართო და ა.შ. ამიტომ პირველ რიგში ესაა ბიზნესგანათლება და ცოდნის მიღება".

თუ პრიორიტეტულობის ასეთი ჩამონათვალი შეგვხვდებოდა ზრდასრული ადამიანების პასუხების დროს გასაკვირი არაფერი იქნებოდა, მაგრამ ჩვენს სამიზნე აუდიტორიას და შესაბამისად რესპონდენტებს წარმოადგენენ დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები, რომლებსაც შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ასაკისა, გააჩნიათ მართლაც რეალური შეხედულებები ბიზნესის წარმოების ირგვლივ, ანუ არსებობს მნიშვნელოვანი პოტენციალი.

6. თვითშეფასება და შეხედულებები საზოგადოებრივი კეთილდღეობის შექმნის შესახებ

6.1 პირადი განათლება

კითხვა:

რამდენად ეთანხმებით ქვემოთ ჩამოთვლილ მოსაზრებებს? ჩემი განათლება...

ცხრილი 4

	სრულიად ვეთანხმები	მეტწილად ვეთანხმები	არ ვეთანხმები
მეხმარება ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად	69.8	26.4	3.8
მაძლევს საკმარის ცოდნას და უნარ-ჩვევებს, რომ მომავალში საკუთარი ბიზნესი განვახორციელო	41.2	51.2	7.6
მიქმნის დაინტერესებას, რომ მომავალში საკუთარი ბიზნესი განვახორციელო	49.6	39.6	10.8
მეხმარება ბიზნესის როლის და მნიშვნელობის გაგებაში	47.4	41.4	11.2

➔ რესპონდენტების უმრავლესობის აზრით მათი ზოგადი განათლება ეხმარება ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად

სწორედ ამისათვის იღებენ ისინი განათლებას, მაგრამ მიღებული განათლება ზოგადია და არა კონკრეტული, საკუთარი სამეწარმეო საქმიანობის დაწყებისაკენ მიმართული, რაც დასტურდება შემდეგი შეფასებებით:

- ➔ მაძლევს საკმარის ცოდნას და უნარ-ჩვევებს, რომ მომავალში საკუთარი ბიზნესი განვახორციელო - განათლება საკმარისად მიაჩნია გამოკითხულთა მხოლოდ 41.2%-ს, და ამ ფონზე-
- ➔ მიქმნის დაინტერესებას, რომ მომავალში საკუთარი ბიზნესი განვახორციელო - განათლება საკმარისად მიაჩნია გამოკითხულთა 49.6%.

ცალსახად რესპონდენტები იღებენ ზოგად განათლებას, აქვთ გარკვეული შეხება ბიზნესთან, აქვთ იდეები და ბიზნესის წარმოების სურვილი, მაგრამ არ აქვთ საკმარისი ცოდნა ბიზნესის წარმოების შესახებ.

6.2 პირადი შეხედულებები

კითხვა:

რამდენად ეთანხმებით ქვემოთ ჩამოთვლილ მოსაზრებებს?

ცხრილი 5

	სრულიად ვეთანხმები	მეტწაკლებად ვეთანხმები	არ ვეთანხმები
თუ მე ბევრს ვიმუშავე, შევძლებ საკუთარი ბიზნესის განვითარებას	67.4	26.6	6.0
სტაბილურ სამსახურში მუშაობა მირჩევნია საკუთარი ბიზნესის განვითარებას	35.8	34.2	30.0
საკუთარი ბიზნესის განვითარება მირჩევნია კარიერას	27.0	31.4	41.6

წარმოდგენილი პროცენტული მაჩვენებლებიდან იკვეთება ორი ძირითადი მიმართულება:

1. საკუთარი ბიზნესის განვითარება
2. კარიერული წინსვლა

მაგრამ ამათგან პრიორიტეტული მაინც საკუთარი ბიზნესის წარმოება რჩება. მომხიბვლელია კარიერული წინსვლა, მაგრამ საკუთარი ბიზნესი უფრო მისაღებია (67,4 %), რომლის განვითარება დამოკიდებულია ბევრ მუშაობაზე, და რომლისთვისაც შეინიშნება რესპონდენტების მზაობა.

მოსაზრება: "სტაბილურ სამსახურში მუშაობა მირჩევნია საკუთარი ბიზნესის განვითარებას" - ოდნავი უპირატესობით ფიგურირებს: ცვალებად გარემოში რისკის გარეშე ცხოვრება ასე თუ ისე მისაღებია რესპონდენტების მესამედზე ოდნავ მეტისათვის.

6.3 შეხედულებები საზოგადოებრივი კეთილდღეობის შექმნის შესახებ

კითხვა:

საზოგადოებრივი კეთილდღეობის შექმნაში რამდენად დიდი წვლილი შეაქვთ:

ცხრილი 6

	მალთან დიდი	მეტნაკლებად/მცირე	არავითარი
ინდივიდებს	29.2	51.0	19.8
მცირე ბიზნესებს	17.4	58.0	24.6
მსხვილ ბიზნესებს	53.6	36.4	10.0
მთავრობას	61.8	25.6	12.6

- ✓ რესპონდენტების უმრავლესობის (61.8%) აზრით, საზოგადოებრივი კეთილდღეობის შექმნაში ყველაზე დიდი წვლილი შეაქვს მთავრობას,
- ✓ ასევე დიდი წვლილი შეაქვს დიდ ბიზნესებს (53.6%)
- ✓ ხოლო მცირე ბიზნესებს (58.0%) და ინდივიდებს (51.0%) მეტნაკლებად დიდი წვლილი შეაქვთ საზოგადოებრივ კეთილდღეობის შექმნაში.

ანუ,

რესპონდენტები მთავრობას აკისრებენ ძირითად პასუხისმგებლობას საზოგადოებრივი კეთილდღეობის შექმნაში, რამ იმაზე მეტყველებს, რომ ისინი ვერ ხედავენ სამეწარმეო საქმიანობის როლს ამ პროცესში სრულიად. თუმცა, ასევე მაღალი მაჩვენებელი აქვს მსხვილ ბიზნესებს, რაც განპირობებულია სავარაუდოდ იმიტომ რომ მსხვილი ბიზნესი გულისხმობს ბევრ დასაქმებულ ადამიანს, შესაბამისად ბევრი ადამიანის კეთილდღეობას.

აღსანიშნავია, რომ რესპოდენტების აზრით მცირე ბიზნესს და ცალკეული ინდივიდების საქმიანობას ნაკლები როლი ენიჭება საზოგადოებრივი კეთილდღეობის შექმნაში. შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ მოსწავლეები მეტწილად ვერ ვხვდებიან საკუთარი საქმიანობის მნიშვნელობას და მათ ესაჭიროებათ დამატებითი განათლება.


7. ბიზნესის დაწყების მიზეზები, ბიზნეს იდეა

7.1 ბიზნესის დაწყების მიზეზები

კითხვა:

თქვენი აზრით, ზოგადად რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი რის გამოც შეიძლება ბიზნესის დაწყება?

დიაგრამა 11



შენიშვნა: რესპონდენტებს ჰქონდათ რამდენიმე პასუხის გაცემის შესაძლებლობა, შესაბამისად, პასუხების რაოდენობა აღემატება 100%-ს.

ზოგადად, მიზეზები მრავალფეროვანია, რომელიც თავის თავში მოიცავს საზოგადოებრივ და პირადი დაინტერესების საკითხებს.

მიზეზთაგან მთავარი მაინც ისაა, რომ პირველ რიგში, უმრავლესობის მიერ (54%-ის მიერ) სახელდება სწორედ საზოგადოებრივი აზროვნების შედეგი - ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, რაც უფრო საზოგადოებაზე ზრუნვის სურვილია და არა პირადი ინტერესები. პირადი ინტერესები მხოლოდ მეორე პრიორიტეტულობიდან იწყება: გამოკითხულთა, 44,8%-ი ასახელებს ცოდნისა და გამოცდილების შეძენის შესაძლებლობას. მაღალი მაჩვენებელი აქვს ასევე "აკეთებ იმას, რაც შენ მოგწონს" (გამოკითხულთა 44%). უნდა აღინიშნოს, რომ გამდიდრების მიზეზს მხოლოდ 35% ასახელებს.

მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეების მხოლოდ მცირე ნაწილს სურს საკუთარი საქმიანობის დაწყება იმისათვის რომ იყვნენ საკუთარი თავის უფროსები (27,4%), ჰქონდეთ მეორე კარიერა (22,8%) და ბოლოს შეასრულონ კრეატიული სამუშაო (20,8%).


ყოველივე ეს პრიორიტეტულობა მიუთითებს იმაზე, რომ მოსწავლეების უმეტესობას კარგად არ აქვთ გააზრებული საკუთარი საქმიანობის დაწყების მნიშვნელობა.

7.2 ბიზნესიდეა

კითხვა:

გაქვთ თუ არა ბიზნესიდეა?

დიაგრამა 12




- ✓ გამოკითხულთა 45,2% პასუხობს, რომ აქვთ ბიზნეს იდეა, და მათგან 78,3%-ს სურს მომავალში ბიზნესის დაწყება.

შეგვიძლია ვივარაუდოთ: რადგან რესპონდენტებში ბიზნესის დაწყების სურვილი მაღალია, ბიზნესის დაწყების ალბათობა ბიზნესიდეის არსებობის შემთხვევაში საკმაოდ მაღალია და დღის წესრიგში დგება რესპონდენტების მიერ დასახელებული ხელისშემშლელი პირობების აღმოფხვრა და მხარდამჭერი ღონისძიებების გატარება (მაგ. სპეციალური სამეწარმეო სასწავლო კურსების არსებობა საჯარო სკოლებში).

რესპონდენტების ბიზნესიდეის განხორციელებისთვის დასახელებული თანხების ამპლიტუდა შემდეგია:

თქვენი აზრით დაახლოებით რა თანხა სჭირდება თქვენი ბიზნესიდეის განხორციელებას?


დიაგრამა 13 რესპონდენტები, რომლებსაც აქვთ ბიზნესიდეა, გამოკითხულთა 45.2%



აღსანიშნავია, რომ რესპოდენტების დიდი ნაწილის (42%-ის) აზრით მათი ბიზნესიდეის განხორციელებას მხოლოდ 20,000 ლარამდე ინვესტიცია სჭირდება. ეს მეტყველებს იმაზე, რომ მოსწავლეების დიდი ნაწილის მიერ ბიზნესსაქმიანობის დაწყებას არ სჭირდება განსაკუთრებული მოცულობის ინვესტიციები.

რაც შეეხება სფეროებს, თუ სად სურთ რესპოდენტებს საკუთარი სამეწარმეო საქმიანობის დაწყება, ჩამონათვალი შემდეგია:

დიაგრამა 14 რესპოდენტები, რომლებსაც აქვთ ბიზნესიდეა, გამოკითხულთა 45.2%



შენიშვნა: რესპოდენტებს ჰქონდათ რამდენიმე პასუხის გაცემის შესაძლებლობა, შესაბამისად, პასუხების რაოდენობა აღემატება 100%-ს.

აღსანიშნავია, რომ რესპოდენტების უმეტესობას საკუთარი საქმიანობის დაწყება ვაჭრობის (24,8%), კვების (23%) და ტურიზმის (17,3%) სექტორებში სურს.

კითხვაზე "შესაძლებელია თუ არა უკვე სკოლის პერიოდში მოსწავლემ ბიზნესი დაიწყო?" ფოკუსს ჯგუფების მონაწილე მოსწავლეების აზრით ძირითადად შესაძლებელია მცირე ბიზნესის დაწყება თუმცა ამისთვის შესაბამისი განათლების მიღება არის საჭირო. მათი აზრით სკოლამ/განათლების სამინისტრომ უნდა ჩაატაროს სპეციალური მოსწავლეზე მორგებული კურსები და პრაქტიკულად დაანახონ თუ როგორ მუშაობს ბიზნესი. მონაწილეები გამოთქვამენ შემდეგ მოსაზრებებს: "კერძო სკოლებში მსმენია, რომ არის ბიზნესის კურსები და მოსწავლეს შეუძლია გაიაროს. ჩემი აზრით ჩვენს სკოლებშიც უნდა იყოს ასეთი შესაძლებლობა ჩვენთვის", "პირველ რიგში შეირჩეს სკოლაში ის ადამიანები ვისაც ექნება სურვილი დაესწროს ბიზნესტრენინგებს. შეირჩეს ორგანიზაცია, რომელიც გააკეთებს საინტერესო და სახალისო ტრენინგებს მოსწავლეებისთვის, რომელიც არ იქნება მოსაწყენი და დამღლეი. უნდა იყოს ტრენინგები მრავალფეროვანი. ჩვენებებით ან სლაიდშოუებით. შეძლონ რომ ბავშვები დააინტერესონ. თუნდაც წაიყვანონ რაღაც მცირე ბიზნესის სანახავად, რომ ადგილზე ნახონ როგორ მუშაობს ბიზნესი", "სკოლაში რომ ტარდებოდეს გაკვეთილებისგან განსხვავებული ტრენინგები კარგი იქნებოდა. ჩვენ დიდი

მეწარმეობრივი განათლების პილოტირება საქართველოს საჯარო სკოლებში

სიამოვნებით მივიღებდით მონაწილეობას”, ”დამამთავრებელ კლასებში მსგავს კურსებში მონაწილეობით ადამიანს გაუჩნდება მეტის კეთების სურვილი და მოტივაცია. იდეა დაებადება უფრო მეტი”, ”სურვილის მიხედვით, ვისაც უნდა და აინტერესებს ეს სფერო იმათთვის უნდა ჩატარდეს”.

დანართი 1 - შერჩევის დიზაინი

შერჩევის ფორმირება

არსებული მოცემულობა:

- თბილისში არსებულ საჯარო სკოლების 9-ე, 10-ე, 11-ე და 12-ე კლასებში ჩასატარებელია რაოდენობრივი გამოკითხვა, შერჩევის მოცულობა 500 ინტერვიუ.

რაოდენობრივი გამოკითხვის მიზანი:

- საკვლევი საკითხების რაოდენობრივი შედეგი, ორიენტირებული შედეგის თვისობრივ შინაარსზე, განიხილება როგორც თვისობრივი კვლევის მოსამზადებელი ეტაპი.

თითოეულ კლასში გამოსაკითხი მოსწავლეების ოდენობა

რაოდენობრივი გამოკითხვის მიზნიდან გამომდინარე, თითოეულ კლასში გამოსაკითხი მოსწავლეების რეპრეზენტატული, რეკომენდირებული რაოდენობა იქნება მაქსიმუმ 5 მოსწავლე შესაბამისად, სკოლაში გამოსაკითხი მოსწავლეების რაოდენობა იქნება 20, სკოლების რაოდენობა, სადაც ჩატარდება გამოკითხვა- $600/20=30$, თბილისში არსებული სკოლების (200 სკოლა) 15% :

განმარტება: კლასში გამოსაკითხი მოსწავლეები-იგულისხმება არსებული პარალელური კლასები თითოეული კლასისთვის.

- საგანმანათლებლო სისტემა ერთია საქართველოში არსებული ყველა საჯარო სკოლისათვის.
- განსხვავდება მხოლოდ პედაგოგის მიდგომა სასწავლო პროგრამისადმი.
- თუ კლასში გამოსაკითხი მოსწავლეების რაოდენობა იქნება 5-ზე ნაკლები-გაიზრდება გამოსაკითხი სკოლების რაოდენობა, შედეგების განზოგადება თბილისის სკოლებზე იქნება უფრო მეტად რეპრეზენტატული, მაგრამ შემცირდება გამოკითხვის თვისობრივი შინაარსის ახსნადობა სკოლების მიხედვით.
- თუ კლასში გამოსაკითხი მოსწავლეების რაოდენობა იქნება 5-ზე მეტი, შემცირდება სკოლების რაოდენობა, გაიზრდება გამოკითხვის თვისობრივი შინაარსის ახსნადობა სკოლების მიხედვით, მაგრამ შედეგების განზოგადება თბილისის სკოლებზე, დაკარგავს რეპრეზენტატულ ხასიათს.
- თუ კლასში გამოსაკითხი მოსწავლეების რაოდენობა იქნება 5, შედეგები მოგვცემს საშუალებას სრულყოფილად მოხდეს როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი ანალიზი, დაცული იქნება შედეგების განზოგადების პრინციპი-არსებულის 15%-ს შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელია ვისაუბროთ როგორც ერთიანი სურათი.

საფეხური 1: გამოსაკითხი სკოლების რაოდენობის განსაზღვრა თბილისის რაიონების მიხედვით:

მეწარმეობრივი განათლების პილოტირება საქართველოს საჯარო სკოლებში

- მოძიებული იქნება თბილისში არსებული საჯარო სკოლების რაოდენობა, მათი გეოგრაფიული და რაოდენობრივი განლაგება თბილისის რაიონების მიხედვით.
- გამოითვლება თბილისის რაიონებში არსებული სკოლების ხვედრითი წილი პროცენტულ მაჩვენებლებში თბილისში არსებული სკოლების საერთო რაოდენობიდან.
- ხვედრითი წილის პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით, თითოეული რაიონის მიხედვით გამოითვლება რამდენი სკოლა უნდა გამოიკითხოს გამოსაკითხი სკოლების მთლიანი რაოდენობიდან-30 სკოლიდან.

მაგალითად: დავუშვათ სამგორის რაიონში არის 37 სკოლა, ე.ი. სამგორის რაიონში არსებული სკოლების ხვედრითი წილი არის 200-100%, 37-18,5%. სამგორის რაიონში გამოსაკითხი სკოლების რაოდენობა იქნება 100%-30, 18,5%-5,55, ანუ 6 სკოლა.

საფეხური 2: რაიონში გამოსაკითხი სკოლების შერჩევა:

ასეთი სახის შერჩევით გამოიყენება რამდენიმე მეთოდი, რომელიც აგებულია სრულიად შემთხვევით შერჩევის პრინციპზე:

- გამოითვლება შერჩევის კოეფიციენტი. სკოლების ჩამონათვალიდან შერჩეული იქნება ყოველი x სკოლა. ზემოთ მოყვანილი მაგალითის მიხედვით, სამგორის რაიონში სკოლების შერჩევის კოეფიციენტი იქნება $37/6=6,2$, ანუ სამგორის რაიონში შერჩეული იქნება ყოველი მე-6 სკოლა.
- მოხმარებაში შემოდის სტატისტიკური პაკეტი SPSS: რაიონებში არსებული სკოლების ჩამონათვალის მიხედვით შეიქმნება ბაზა პროგრამაში SPSS, გამოყენებული იქნება ფუნქცია Random, რომელშიც კუმულირებულია შემთხვევითი შერჩევის თეორიები და მიღებულია სოციოლოგიური გამოკითხვებისათვის. ფუნქცია Random შედეგად მოგვცემს იმ სკოლების ჩამონათვალს, სადაც უნდა ჩატარდეს გამოკითხვა.

მიმდინარე პროექტის ფარგლებში სკოლების შერჩევით გამოყენებული იქნება სტატისტიკური პაკეტი SPSS, ფუნქცია Random.

საფეხური 3: გამოსაკითხ სკოლებში გამოსაკითხი მოსწავლეების შერჩევა:

სტატისტიკური პაკეტი SPSS-ის ფუნქცია Random-ის გამოყენება ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია, მაგრამ პროცედურულად საჭირო იქნება დიდი დრო: უნდა დადგინდეს მოსწავლეების ჩამონათვალი კონკრეტული კლასების მიხედვით, რომლითაც უნდა შედგეს ბაზა პროგრამაში SPSS, შეირჩეს გამოსაკითხი მოსწავლეები სახელითა და გვარით, სკოლაში ინტერვიუერის ვიზიტის დროს მოძიებული უნდა იქნეს კონკრეტული მოსწავლე.

დროის ეკონომიისა და სხვა გართულებების (რაც თან ახლავს კონკრეტული სახელითა და გვარით გამოკითხვას) თავიდან აცილების მიზნით, გამოყენებული იქნება ბრმა შერჩევა:

- თითოეულ სკოლაში, თითოეული კლასის მიხედვით განისაზღვრება შერჩევის კოეფიციენტი: დავუშვათ, შერჩეულ სკოლაში 9-ე კლასი არის რამდენიმე,

მეწარმეობრივი განათლების პილოტირება საქართველოს საჯარო სკოლებში

დაზუსტდება რამდენი მოსწავლეა ყველა 9-ე კლასში ერთად (n). შერჩევის კოეფიციენტი უდრის $n/5=(y)$. გამოსაკითხი მოსწავლეების შერჩევა იქნება სრულიად შემთხვევითი, ბრმა ტიპის: ინტერვიუერის კლასში ვიზიტის დროს შეირჩევა ყოველი მე-y მოსწავლე, პირველი მოსწავლიდან, უკიდურესი მარცხნიდან მარჯვნივ, საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით გადათვლით. კონკრეტულ პარალელურ კლასში მოსწავლეების რაოდენობის ამოწურვის შემდეგ გადათვლა გაგრძელდება შემდეგ პარალელურ კლასში იგივე პრინციპით, მაგრამ შემდეგ კლასში უკიდურეს მარცხენა მხარეს მყოფი მოსწავლე განიხილება არა როგორც რიგით პირველი, არამედ წინა კლასში რიგითობით ბოლოს პლიუს ერთი.